



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დედოფალა



დედოფალა

დედოფალა, (*Mustela nivalis*), ძუძუმწოვარი ცხოველი მტაცებელთა რიგისა. გავრცელებულია ევროპაში, ჩრდ. აფრიკაში, აზიის უდიდეს ნაწილში, ჩრდ. ამერიკაში და სხვ. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება. ვერტიკალურად ვრცელდება ზ. დ. 3800 მ-მდე. ბუდეს იკეთებს მღრღნელების სოროში, შეშისა და ფიჩხების გროვაში, ქვანაყარში, ქვის ყორეში, ფესვებში, შენობათა ნანგრევებში, ნაპრალებში. მისი სხეულის სიგრძე აღწევს 13-28 სმ, კუდი - 1,3-4 სმ (იშვიათად 8 სმ), სხეულის მასა 30-250 გ. ბაფხულში ბენჯი მუქი ნაბლისფერია.

ბენჯს იცვლის შემოდგომაზე. ზამთარში ზოგს თეთრი ბენჯი აქვს (ბენჯი მდარე ხარისხისაა). დ-ს ძირითადი საკვებია პატარაპატარა მღრღნელები, გარეული და შინაური ფრინველები, ამფიბიები ქვეწარმავლები. იშვიათად - მწერები. მძუნაობს ადრე გაზაფხულზე. მაკეობა ორ თვემდე გრძელდება. შობს 4-9 ნაშიერს. ნაშიერები გვხვდებიან მაისიდან იანვ-მდე. გვარში 17 ქვესახეობაა, საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ორი: დიდი კავკასიური დ. (*M. n. dinniki*), ბინადრობს უფრო მთიან ადგილებსა და ტყეებში, და მცირე კავკასიური დ. (*M. n. caucasica*), ბინადრობს მეტწილად ღია ადგილებში. ხშირად ორივე ქვესახეობა ერთსა და იმავე ადგილზე გვხვდება.

დ-ს სარგებლობა მოაქვს მავნე მღრღნელების განადგურებით.